საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- --მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

16 ივლისი 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №227/17

-- -- 2017 წლის 14 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 21 ივნისის №227/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე საქმეს აწარმოებს მიკერძოებულად, რის გამოც ილახება მესამე პირების კანონით დაცული უფლებები, რაც დასტურდება შემდეგში, რომ მოსამართლემ საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი ტექნიკური აღრიცხვის მასალების ასლები - 144 ფურცელი (10/07/2017), მესამე პირებს - -- -- და -- -- არ მისცა და არც საქმეში ჩადო. საქმის მასალების ასლების გადმოცემის ნაცვლად, მოსამართლე -- -- არაკორექტულად, უხეშად

მიმართა და ურჩია საქმის მასალები თვითონ ენახა და თვითონ გაერკვია შეუსაბამობის მიზეზი, ვინაიდან მისი მტკიცებით საქმეში ყველა ასლი იყო ჩადებული. სასამართლოსგან იგივე შინაარსის პასუხი მიიღო წერილობითაც.

2017 წლის 28 ნოემბერს საქმის მასალების გაცნობის შემდგომ, -- -- თქმით, კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ საქმეში არ იყო ჩადებული ტექნიკური აღრიცხვის მასალები, რაზეც წერილობით კვლავ მიმართა მოსამართლეს და თანაშემწისგან მიღებული პასუხით (04/12/2017), ტექნიკური აღრიცხვის მასალების გაცნობას შეძლებდა მხოლოდ პროცესების დასრულების შემდეგ, მას შემდეგ, რაც მასალები დაბრუნდებოდა საჯარო რეესტრში.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული პროცესუალური დარღვევების გამო, სასამართლო სხდომაზე (27/10/2017) მესამე პირების მხრიდან დაყენებული იქნა შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე, რაზეც, შუამდგომლობის არ განხილვის მიზნით, მოსამართლემ სხდომა დახურულად გამოაცხადა. მოსამართლემ ასევე სხდომის ოქმში არ შეიტანა მესამე პირების შუამდგომლობები მოსამართლის აცილების შესახებ.

საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ მოსამართლე შეგნებულად მალავს საქმის განხილვისათვის მნიშვნელოვან საბუთებს, არღვევს სასამართლო საქმისწარმოების თანასწორობის, სამართლიანობის და შეჯიბრებითობის პრინციპს. მოსამართლე არ აპირებს საქმე განიხილოს კანონის დაცვით.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2016 წლის 31 მაისს მიმართა სარჩელით -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და ქ. -- მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ. მოსარჩელე ითხოვდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს -- სარეგისტრაციო სამსახურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილობას და -- რაიონის გამგეობის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების არარა აქტებად აღიარებას, რითაც მისი, როგორც მესაკუთრის კანონიერი ინტერესები იყო უგულებელყოფილი და ეზღუდებოდა საკუთრების თავისუფალი ფლობის უფლება.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2016 წლის 20 ივნისის განჩინებით, -- -- სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში და საქმეში მესამე პირებად ჩაბმული იქნენ -- -- და -- --.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 ივნისის განჩინებით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა (სასამართლოს ინიციატივით), სადავო უძრავი ნივთის შესახებ (ქ. --, -- ქუჩა №--) ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში არსებული სააღრიცხვო მასალების სასამართლოში წარდგენა, დედნის სახით.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 10 ივლისის წერილით, სასამართლოს წარედგინა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან ქ. -- -- ქუჩა №---ში მდებარე უძრავი ნივთის სააღრიცხვო დოკუმენტაცია, დედნის სახით, 144 გვერდი.

2017 წლის 29 სექტემბრის განჩინებით, საქმეზე მთავარი სხდომა დაინიშნა 2017 წლის 27 ოქტომბერს.

2017 წლის 27 ოქტომბრის სასამართლო მთავარი სხდომის ოქმის მიხედვით, მესამე პირმა - -- -- მოსამართლის წინაშე დააყენა საკითხი, რომ მისთვის არ გაუგზავნიათ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან გამოთხოვილი უძრავი ნივთის სააღრიცხვო დოკუმენტაცია, რაზეც მოსამართლემ უპასუხა, რომ დედან მასალებს ვერ გადასცემდა და ასლები საქმეში იყო. სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერზე დაყრდნობით, მოსამართლის მხრიდან არაკორექტული ან უხეში მიმართვა არ ფიქსირდება.

ამავე სხდომის დასასრულს, მესამე პირებმა - -- -- და -- -- ზეპირი ფორმით განაცხადეს მოსამართლის აცილება, რაც მოსამართლის მიერ არ ყოფილა განხილული და სხდომა დაიხურა.

2017 წლის 27 ოქტომბერს, -- -- განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს -- -- და მოითხოვა გაცნობოდა საქმეს და გადაეღო მისთვის საჭირო ასლები. საქმეში არსებული 2017 წლის 02 ნოემბრის ხელწერილის მიხედვით, -- -- ადასტურებს, რომ გაეცნო საქმის მასალებს და გადაიღო მისთვის საჭირო ქსეროასლები.

2017 წლის 06 ნოემბერს, -- -- განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს -- -- და მოითხოვა გაცნობოდა საქმეს და გადაეღო მისთვის საჭირო ასლები. საქმეში არსებული ხელწერილის მიხედვით (13/11/2017), -- -- ადასტურებს, რომ გაეცნო საქმის მასალებს, გადაიღო მისთვის საჭირო ქსეროასლები, მაგრამ ვერ მიიღო ინფორმაცია საჯარო რეესტრიდან წარმოდგენილი მასალების შესახებ. -- -- ხელწერილში აღნიშნავს, რომ საქმის გაცნობისას ტექნიკური აღრიცხვის მასალების 144 ფურცელი საქმეში არ ყოფილა, შესაბამისად ვერ გაეცნო ამ მასალებს და ვერ მიიღო მისთვის საჭირო ინფორმაცია.

2017 წლის 13 ნოემბერს, -- -- განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს -- -- და მოითხოვა საჯარო რეესტრის მიერ წარმოდგენილი მასალების ასლების გადაცემა.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- თანაშემწის 2017 წლის 16 ნოემბრის წერილით, -- -- უარი ეთქვა მოთხოვნილი ასლების გადაცემაზე იმ მიზეზით, რომ მოთხოვნილი მასალის ასლები დაცული იყო საქმეში, რაც მხარეთა მიერ იყო წარმოდგენილი. საჯარო რეესტრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები იყო

დედანი და ამიტომ, საქმის განხილვის შემდგომ უნდა დაბრუნებოდა წარმომდგენ ორგანოს.

2017 წლის 22 ნოემბერს, -- -- განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს -- -- და მოითხოვა საქმის მასალების განმეორებით გაცნობა და მისთვის საჭირო მასალის ასლების გადაღება, მათ შორის საჯარო რეესტრიდან წარმოდგენილი ტექნიკური აღრიცხვის მასალის ასლების. საქმეში არსებული ხელწერილის მიხედვით (28/11/2017), -- -- ადასტურებს, რომ გაეცნო საქმის მასალებს, გადაიღო მისთვის საჭირო ქსეროასლები, მაგრამ ვერ მიიღო ინფორმაცია საჯარო რეესტრის ტექნიკური აღრიცხვის არქივის მასალების შესახებ. -- -- აღნიშვნით, მოსამართლის თანაშემწის 2017 წლის 16 ნოემბრის წერილი სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, რადგან საჯარო რეესტრიდან წარმოდგენილი მასალები - 144 ფურცელი საქმეში დაცული არ არის.

2017 წლის 30 ნოემბერს, -- -- განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, რითაც იგი ითხოვდა დახმარებას საჯარო რეესტრის ტექნიკური აღრიცხვის არქივის მასალების ასლების მოპოვებაში, ან მოსამართლის მხრიდან განმარტებაში თუ რის საფუძველზე უკრძალავს საქმეში არსებული და გამოსაკვლევი მტკიცებულებების ასლების გაცნობას და საჭირო ასლების გადაღებას.

2017 წლის 30 ნოემბერს, -- -- ასევე განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და მოითხოვა მიეცეს უფლება გაეცნოს საჯარო რეესტრის ტექნიკური აღრიცხვის არქივის მასალებს და გადაიღოს საჭირო ასლები. ამასთან, -- -- ითხოვდა, წერილობით ეცნობოს თუ რომელი კანონის საფუძველზე არ ეძლევა საშუალება აღნიშნული მასალების გაცნობის და საჭირო ასლების გადაღების.

მოსამართლის თანაშემწის 2017 წლის 04 დეკემბრის წერილით, -- -- ეცნობა, რომ მას მსგავსი შინაარსის განცხადებაზე 2017 წლის 16 ნოემბერს უკვე გაეცა პასუხი და 2017 წლის 30 ნოემბრის განცხადება არ შესრულდებოდა.

2017 წლის 12 დეკემბერს, -- -- კვლავ მიმართა განცხადებით მოსამართლე -- -- და მოითხოვა საქმის ტომის და გვერდების მითითება, იმისთვის რომ გაცნობოდა ტექნიკური აღრიცხვის მასალებს და გადაეღო ასლები.

2017 წლის 12 დეკემბერს, -- -- ასევე მიმართა განცხადებით -- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, სადაც იგი საუბრობს იმაზე, რომ მოსამართლე -- -- არ აძლევს საშუალებას გაეცნოს საჯარო რეესტრის ტექნიკური აღრიცხვის არქივის მასალებს და გადაიღოს მისთვის საჭირო ასლები.

-- -- 2017 წლის 12 დეკემბრის განცხადებებზე პასუხი საქმეში არ მოიპოვება.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2017 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მოსამართლის თანაშემწის 2018 წლის 22 იანვრის წერილით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სრულად დაუბრუნდა 2017 წლის 30 ივნისის განჩინებით გამოთხოვილი ტექნიკური აღრიცხვის არქივის მასალის დედანი დოკუმენტები.

დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, საქმის მასალებში ვერ იქნა მოძიებული და იდენტიფიცირებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან 2017 წლის 30 ივნისის განჩინებით გამოთხოვილი დედანი დოკუმენტების ასლები, დედანი დოკუმენტების წარმომდგენ ორგანოში დაბრუნების გამო.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება“. ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

აღსანიშნავია, რომ კანონი არ აკონკრეტებს თუ რა იგულისხმება მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებაში, შესაბამისად, ამ საკითხზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს არის თუ არა საუბარი სამოსამართლო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან დაუდევრობაზე, ან უგულისყურო შესრულებაზე, სისტემატიურად და არასაპატიო მიზეზით, რასაც იზიარებს საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და სადისციპლინო პრაქტიკა (ესპანეთი, იტალია, ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია, მაკედონია და ა.შ.).

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთის მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან

არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის Nდს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივ შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- წარმოადგენს ადმინისტრაციული საქმის განმხილველ მოსამართლეს. შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას, რა თქმა უნდა ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის ნორმებს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ წერილობით განაცხადონ აცილება. განცხადება აცილების შესახებ მოტივირებულ უნდა იქნეს და გაკეთდეს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს. აცილების თაობაზე შემდგომი განცხადება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აცილების საფუძველი

იმ პირისათვის, რომელიც აცილებას მოითხოვს, ცნობილი გახდა ან წარმოიშვა მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში განცხადება აცილების შესახებ დასაშვებია მხარეთა პაექრობამდე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მათ შორის, ექსპერტის (საექსპერტო დაწესებულების) დასკვნები, სპეციალისტის ცნობები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, სასამართლოს წინაშე განაცხადონ შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინონ იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, წარადგინონ მორიგების აქტი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე და ისარგებლონ ამ კოდექსით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 139-ე მუხლის თანახმად, საქმეში არსებული დედანი საბუთები სასამართლოში ერთად ინახება. ასეთი საბუთები, მათი წარმდგენის თხოვნით, შეიძლება დაუბრუნდეს მასვე, მაგრამ საქმეში უნდა დარჩეს მოსამართლის მიერ შემოწმებული დედანი საბუთების ასლები.

საქმეში არსებულ მასალებზე დაყრდნობით, კერძოდ, 2017 წლის 27 ოქტომბრის სხდომის ოქმის აუდიო ვერსიის მოსმენის შედეგად ირკვევა, რომ პროცესის დასასრულს, მას შემდეგ რაც მხარეები შეთანხმდნენ მთავარი სხდომის თარიღზე, მესამე პირების - -- -- და -- -- მიერ დაყენებული იქნა შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე, რაც მოსამართლე -- -- არ განუხილავს და აღნიშნა, რომ სხდომა დასრულებული იყო. საყურადღებოა ის გარემოება, რომ შუამდგომლობა დაყენებული იყო მომდევნო სხდომის თარიღის შეთანხმების შემდგომ, თუმცა მოსამართლეს არ ჰქონდა გაცხადებული სხდომის დასრულების შესახებ და მასსა და მხარეებს შორის საუბარი გრძელდებოდა დიალოგის რეჟიმში. ამასთან, საკითხთან მიმართებაში გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შუამდგომლობა არ ყოფილა დაყენებული წერილობითი სახით, რასაც ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლი (რაც აგრეთვე არ მოიპოვება საქმეში).

მოსამართლის მიერ საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი დედანი დოკუმენტების მხარისათვის ხელმიუწვდომობის საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოცემულ სიტუაციაში, შეუძლებელია დადასტურება ან უარყოფა საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი კონკრეტული დედანი მასალის ასლები დაცულია თუ არა საქმეში, თუმცა საქმეში არსებობს

სადავო უძრავი ქონების ტექნიკური აღრიცხვის არქივის მასალის ასლები, რისი იდენტიფიცირებაც დედან დოკუმენტებთან ვერ ხერხდება მათი წარმომდგენ ორგანოში დაბრუნების გამო.

ზემოხსენებულ საკითხებზე მსჯელობისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს აგრეთვე ევროპის სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობასა და სადისციპლინო პრაქტიკაზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს, რაც განსახილველ ორივე შემთხვევაში არ იკვეთება და რაც კონკრეტულ შემთხვევის დისციპლინურ გადაცდომად მიჩნევისთვის ერთ-ერთ არსებით ელემენტს წარმოადგენს.

ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად, მოსამართლე -- -- მხრიდან არ იკვეთება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაცდომის ნიშნები.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად

(სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტითა და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №227/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი